Research

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

ივლისი 2026

- **2026 წლის ივლისში საქართველოს სასტუმროს ფასების ინდექსი გაიზარდა 8.5%-ით წინა თვესთან შედარებით; ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა აჭარაში, გურიასა და სამცხე-ჯავახეთში.**
- **2026 წლის ივლისში საქართველოს სასტუმროს ფასების ინდექსი გაიზარდა 8.7%-ით წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით; ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა გურიაში, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.**
- **2026 წლის ივლისში ოთახის საშუალო ფასი მერყეობდა 131 ლარიდან 591 ლარამდე.**

სასტუმროების საშუალო ფასები

2026 წლის ივლისში სასტუმროების საშუალო ფასმა[1] საოჯახო ტიპის სასტუმროებში[2] **131 ლარი შეადგინა**, 3-ვარსკვლავიან სასტუმროებში - **193 ლარი**, ხოლო 4-ვარსკვლავიან სასტუმროებში - **291 ლარი**. 3-ვარსკვლავიანი, 4-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით მოცემულია გრაფიკი 1-ზე.

2026 წლის ივლისში საქართველოში 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი იყო **591 ლარი**. ყველაზე მაღალი საშუალო ფასები დაფიქსირდა გურიაში - **1147 ლარი**, კახეთში - **723 ლარი** და თბილისში - **672 ლარი**.



გრაფიკი 1: 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2026 წლის ივლისში, ლარში)

სასტუმროს ფასების ინდექსი

2026 წლის ივლისში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 9.5%-ით გაიზარდა წინა თვესთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი 5.8%-ით გაიზარდა. მთლიანობაში, 2026 წლის ივლისში სასტუმროს ფასების ინდექსი 8.5%-ით გაიზარდა 2026 წლის ივნისთან შედარებით.

2026 წლის ივლისში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 8.4%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი - 10.3%-ით. მთლიანობაში, 2026 წლის ივლისში სასტუმროს ფასების ინდექსი 8.7%-ით გაიზარდა 2025 წლის ივლისთან შედარებით.

რეგიონი[4]	3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი		საოჯახო ტიპის		ყველა სასტუმრო	
	ივლისი/ თვიური(%)	ივლისი/ წლიური (%)	ივლისი/ თვიური(%)	ივლისი/ წლიური (%)	ივლისი/ თვიური(%)	ივლისი/ წლიური (%)
კახეთი	-1.1%	11.3%	0.7%	7.7%	-0.2%	9.6%
იმერეთი	0.2%	12.3%	0.8%	8.0%	0.4%	10.8%
გურია	13.4%	16.6%	11.1%	16.9%	12.2%	16.8%
ქვემო ქართლი	-11.9%	4.3%	0.0%	-11.6%	-8.8%	0.9%
აჭარა	26.1%	7.7%	21.2%	18.5%	25.3%	8.8%
რაჭა	5.2%	13.3%	-1.1%	8.0%	1.4%	9.9%
შიდა ქართლი	-0.6%	9.1%	-4.7%	-2.4%	-2.7%	3.8%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.0%	10.4%	5.2%	9.8%	3.5%	10.1%
სამცხე-ჯავახეთი	15.0%	2.6%	3.4%	5.2%	10.7%	3.4%
მცხეთა-მთიანეთი	0.7%	8.3%	0.3%	12.9%	0.6%	9.7%
თბილისი	0.8%	7.9%	5.6%	8.2%	1.8%	8.0%
სულ ფასების % ცვლილება	**9.5%**	**8.4%**	**5.8%**	**10.3%**	**8.5%**	**8.7%**

ცხრილი 1: თვიური და წლიური ინდექსების ცვლილება (2026 წლის ივლისი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვებით. ანალიზში შედის booking.com-ზე რეგისტრირებული სტრატიფიცირებულად არჩეული 568 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და 371 საოჯახო ტიპის სასტუმრო. საშუალო ფასები გამოითვლება მიმდინარე თვეში ხელმისაწვდომი სასტუმროების საშუალებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსი გამოითვლება მიმდინარე და საბაზისო პერიოდში ხელმისაწვდომი სასტუმროების მიხედვით, სამომხმარებლო ფასების ინდექსის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით (CPI: "Theory and Practice", 2004; Practical Guide, 2009).

4 ინდექსები არ არის ნაჩვენები ისეთი რეგიონებისთვის, რომლებისთვისაც მონაცემები მიუწვდომელი ან არასაკმარისია. თუმცა, ყველა მონაცემი გათვალისწინებულია მთლიან რეგიონულ ინდექსში.